ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4030665

ნომერი: AR1608519

თარიღი : 13.06.2018

გაცემის თარიღი : 27.06.2018

გაცნობის თარიღი : 11.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნონა ზუკაკიშვილი პ/ნ 01024010165
- თბილისი პურის მოედ. ქ. N 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი NAR1608519 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, პურის მოედანი N1/პურის მოედანი N2-ში, N01.18.03.053.008 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით ზომების მიღებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 30 მარტის N3893456 ბრძანებით ქ. თბილისში, პურის მოედანი N1/პურის მოედანი N2-ში, (ძეგლი) N01.18.03.053.008 საკადასტრო ერთეულზე მოწონებულ იქნა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტი. გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა. ხოლო 2018 წლის 14 ივნისის N3976379 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 30 მარტის N3893456 ბრძანებაში და დამკვეთს დაევალა 129 სამუშაო დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შესაბამისი თანხმობის წარმოდგენა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანდუსის მოწყობის შესახებ.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.